ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8007193

ნომერი: AR11142774

თარიღი : 17.06.2026

გაცემის თარიღი : 16.07.2026

გაცნობის თარიღი : 17.07.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N 46;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ლოლაშვილი პ/ნ 01008008282
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 13 მაისს №AR11142774 განცხადებით მომართა ზურაბ ლოლაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის

№6831741 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანებით, №01.10.06.001.205 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6900983 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდა 4218.1 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 1066.9 კვ.მ., საერთო ფართობად - 30674.7 კვ.მ. ხოლო, შეთანხმებული -5.080 და „-4.000 და - 2.200“ ნიშნულების არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდა 2024 წლის 7 თებერვლის №AR11014607 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული არქიტექტურული გეგმებით (მე-2 და მე-4 გვერდები).
სამსახურის 2024 წლის 5 ივლისის №7117385 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 20681.3 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 2672.7 კვ.მ., საერთო ფართობად დაფიქსირდეს - 30653.9 კვ.მ. ხოლო, შეთანხმებული სართულის გეგმა 0.000, -1.500 და +1.000 ნიშნულებზე ჩანაცვლდა 2024 წლის 25 ივნისის №AR11044075 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული (გვერდი მე-2) გეგმით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანებაში, ტექნიკური შეცდომის შედეგად, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად არ იქნა დაფიქსირებული 1479.4 კვ.მ. ფართობი. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ შეთანხმებული გეგმების გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ საპროექტო ობიექტისთვის გათვალისწინებულია ღია ავტოსადგომები, საერთო ფართობით 1479.4 კვ.მ. შესაბამისად, სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად შესაძლებელია დაფიქსირდეს - 1479.4 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 1479.4 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანებით შეთანხმებული -5.080, „-4.000 და-2.200“ და „0.000, -1.500 და +1.000“ ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741, 2024 წლის 22 თებერვლის №6900983 და 2024 წლის 5 ივლისის №7117385 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.